



საარჩევნო სიახლენი

მეოთხე გამოშვება
10-16 დეკემბერი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) აგრძელებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგს 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენი“ მეოთხე გამოშვებაში წარმოგიდგენთ 16 დეკემბრისთვის არსებულ შედეგებს.

საარჩევნო კანონმდებლობა და პროცედურები

კანონით დადგენილ ვადაში - 13 დეკემბრამდე - შეტანილი იქნა ცვლილებები: გურჯაანის (#4, #2, #47, #23), დედოფლისწყაროს, ყვარელის, ახმეტის, ონის, ლენტეხის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ხონის, ჭიათურის, წყალტუბოს, ქუთაისის, ხობის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ფოთის, ქობულეთის, მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ჩუღურეთის, სამგორის, დმანისის, თეთრიწყაროს, ახალგორისა და ბორჯომის საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა სიებში. ზოგ შემთხვევაში ცვლილებები ეხებოდა ამომრჩეველთა დამატებას სიებში, ასევე მიცვალებულთა ამოღებას სიიდან. მაგ.: სოფ. მაჩხაანში, ამომრჩეველთა სიიდან ამოიღეს 10, ჭიათურაში - 74 გარდაცვლილი ამომრჩევლის გვარი. ბაღდათში სიიდან ამოღებულია 105 გარდაცვლილი. სიღნაღის #28 უბანზე 145 ამომრჩეველი შეცდომით იყო მიწერილი კონკრეტულ უბანზე. ვანში 155 ადამიანი საერთოდ არ იყო შეყვანილი სიაში.

15 დეკემბერს სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით, ამომრჩეველთა რეგისტრაცია მოხდა: საგარეჯოს, ლაგოდეხის, ონის, ხელვაჩაურის, მთაწმინდის, ჩუღურეთის, გარდაბნის, დმანისის, ყაზბეგის, ხაშურის, საოლქო საარჩევნო კომისიებში, სადაც სიაში შეიყვანეს სასაზღვრო პოლიციაში მოსამსახურე პირები. სპეციალური სიები შედგა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვისაც. #10 გლდანის საარჩევნო ოლქში სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით, ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მიიტანეს 29 ამომრჩევლის მონაცემები, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს განხილვა სიაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

დადგენილ ვადებში - 15 დეკემბრამდე - იქნა გამოქვეყნებული ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კახეთის რეგიონის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში. რიგ ოლქებში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი საბოლოო მონაცემები ამომრჩეველთა



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

რაოდენობასთან დაკავშირებით, რადგან, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ მოსალოდნელია ცვლილებების შეტანა სიებში. ეს ოლქებია: ონი, ცაგერი, ბაღდათი, სამტრედია, ხონი, წყალტუბო, ბათუმი, შუახევი, ფოთი და ჩოხატაური. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არ გამოქვეყნებულა მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, სამგორისა და თიანეთის საარჩევნო ოლქების რიგ უბნებზე. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის შემდეგ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცენტული ზრდა მოხდა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: კასპში (18.7%), მარნეულში (17.5%), მარტვილში (16.2%), და ლაგოდეხში (13.8%)¹.

წინასაარჩევნო პერიოდი

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიას რეგიონებში ყველაზე აქტიურად აწარმოებენ შემდეგი პრეზიდენტობის კანდიდატები: დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი, მიხეილ სააკაშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 16 დეკემბერს პრეზიდენტობის კანდიდატებს შალვა ნათელაშვილსა და ლევან გაჩეჩილაძეს შეხვედრა ჰქონდათ დედოფლისწყაროს ამომრჩევლებთან. სარემონტო სამუშაოების საბაბით, მათ უარი განუცხადეს კულტურის სახლში დარბაზის დათმობაზე, რომელიც იტევს 500-600 ადამიანს. თუმცა რემონტი მიმდინარეობს მხოლოდ ფოიეში, რაც ხელს არ შეუშლიდა შეხვედრის გამართვას. აღნიშნულმა კანდიდატებმა შეხვედრა ჩაატარეს მუსიკალური სკოლის დარბაზში, რომელიც მცირე მოცულობისაა და იტევს მხოლოდ 60-70 ადამიანს.

კვლავაც არსებობდა გარკვეული პრობლემები ოპოზიციური პარტიებისთვის საოფისე ფართების მიქირავებასთან დაკავშირებით ამბროლაურში. აბაშაში ლევან გაჩეჩილაძის შტაბის თავმჯდომარის განცხადებით, მათ ძალიან გაუჭირდათ საოფისე ფართის დაქირავება, რადგან მეპატრონეები გაურბიან პრობლემების წარმოქმნას და ერიდებიან ოპოზიციური პარტიებისთვის ოფისის მიქირავებას.

12 დეკემბერს, სოფელ მლეთის, ქვეშეთისა და ბაზალეთის, ესევე დუშეთში მდებარე საჯარო სკოლების დირექტორებმა და მასწავლებლებმა მე-7 – მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო პროცესის დროს წაიყვანეს დუშეთის რეიონულ ცენტრში პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად. აღნიშნულ რაიონში ასევე არ მუშაობდა სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებიც, რომლის

¹ ეს პროცენტული მაჩვენებელი მიღებულია ოლქების მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ცესკო-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

თანამშრომლებიც წაყვანილ იქნენ შეხვედრაზე. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ველისციხეში, სადაც საჯარო სკოლის დირექტორმა და პედაგოგებმა მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები წაიყვანეს თელავში ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთასთან შესახვედრად, რის გამოც აღნიშნულ მოსწავლეებს შეუწყდათ სასწავლო პროცესი. სასურველია, სკოლის ხელმძღვანელებმა ხელი არ შეუშალონ სასწავლო პროცესის ნორმალურ განხორციელებას საკამპანიო შეხვედრების გამო სკოლის საათებში, რადგან ასეთი ფაქტები შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება.

საარჩევნო ადმინისტრაცია

დუშეთის #2, #4, #5, #11, #18, #46, #48, #49, #52 საარჩევნო უბნებზე სხდომები, რომლებზეც თავმჯდომარედ და მოადგილედ შერჩეულ იქნა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, გაბათილდა. გაბათილების ოფიციალურ მიზეზად არასწორად ჩატარებული სხდომა დაასახელდა. ხელახალი კენჭისყრის შედეგად ამ უბნებზე თავმჯდომარედ და მოადგილედ დაინიშნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ან საოლქოს მიერ შერჩეული წევრები.

მონიტორინგის პერიოდში არსებობდა გარკვეული სახის პრობლემები ამომრჩეველთა მონაცემების სიებთან შედარებასთან დაკავშირებით, მაგ: პარტია “თავისუფლების” წარმომადგენელს ზუგდიდში კომისიის თავმჯდომარემ არ მისცა უფლება, სიიდან ამოეწერა დევნილთა მონაცემები. სენაკში # 9 საარჩევნო უბანზე პარტია “თავისუფლების” მიერ დანიშნულ კომისიის წევრს არ მისცეს უფლება ენახა, თუ რამდენად იყო ასახული სიაში კარდაკარ შემოწმების შედეგები. ხოლო სენაკში # 12 საარჩევნო უბანზე იმავე პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი საერთოდ არ შეუშვეს უბანზე და შესაბამისად, ვერ დაესწრო კომისიის სხდომას.

ამომრჩეველზე ზეწოლა

“სამართლიანი არჩევნები“-ს კახეთის რეგიონის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს და აქტივისტებს დავალებული აქვთ, შეაგროვონ ინფორმაცია უჭერენ თუ არა მხარს ამომრჩეველები აღნიშნული პარტიის მიერ წარდგენილ საპრეზიდენტო კანდიდატს. ხოლო თუ ამომრჩეველი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას მათი კანდიდატის მიმართ – ზემოთ ხსენებულ აქტივისტებს ევალებათ, შეაგროვონ ინფორმაცია მისი სამუშაოს, ბიზნესისა თუ ოჯახის წევრების საქმიანობის შესახებ.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ნაცვლად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები არიგებდნენ ვაუჩერებს, რომლებიც არის სოციალური ძახმარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილი. ზოგიერთ შემთხვევაში ვაუჩერები გადაეცემოდა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდამჭერ მოქალაქეებს. მაგ: ნაძალადევის საარჩევნო ოლქში გაზის ვაუჩერის გადაცემის დროს ამომრჩეველმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ის არ არის ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერი. ასეთი პასუხის მიღების შემდეგ აღნიშნულ ამომრჩეველს აღარ გადასცეს გაზის ვაუჩერი. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა სენაკში, სადაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მოქალაქეებს ეკითხებოდნენ, თუ ვის მისცემდნენ ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში და მხოლოდ სასურველი პასუხის მიღების შემთხვევაში, ურიგებდნენ მათ პურის ფქვილს.

ხულოში საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ამომრჩეველებისგან მოითხოვენ, არჩევნების დღეს ხმა მისცენ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს; აწერინებენ ხელს აღნიშნული კანდიდატის მხარდამჭერ ფორმებზე, უარის შემთხვევაში კი სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებიან. ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები მსგავსი ხელმოწერების მისაღებად “სამართლიანი არჩევნების” ხულოს კოორდინატორის ოჯახსაც ეწვივნენ.

ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა „სამართლიანი არჩევნების“ ქობულეთის გრძელვადიან დამკვირვებელთან საუბარში განაცხადა, რომ # 10 საარჩევნო უბანზე ჩაყრიდა იმდენ ბიულეტენს, რამდენიც სურდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაიმართა საარჩევნო ოლქში სპეციალური სხდომა, სადაც ამ პიროვნებამ დაადასტურა თავისი ნათქვამი. მას მიეცა გაფრთხილება, რომ თავი შეიკავოს მსგავსი განცხადებებისგან.²

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ლაგოდეხში “სამართლიანი არჩევნების” ერთ-ერთი გრძელვადიანი დამკვირვებელი დაიბარა ლაგოდეხის რაიონის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა და დაუსვა კითხვები მისი საქმიანობისა და ანაზღაურების შესახებ. გაურკვეველია, კონტრდაზვერვის რაიონულ ხელმძღვანელს რატომ უნდა აინტერესებდეს დეტალები საარჩევნო დამკვირვებლის სამსახურისა და ხელფასის შესახებ. რადგან დასმული კითხვები არ იყო დაკავშირებული კონტრდაზვერვის ოფიციალურ საქმიანობასთან, ეს შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ჩარევა სადამკვირვებლო მისიაში და/ან ზეწოლა დამკვირვებელზე.

² „სამართლიანი არჩევნების“ ეს ინფორმაცია გადაეცა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო ჯგუფს.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ჭიათურაში მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა ოჯახებიდან წაიღეს პირადობის მოწმობები ფქვილისა და ვაუჩერების მიღების მიზნით, თუმცა პირადობის მოწმობები ჯერაც არ დაუბრუნებიათ.

„სამართლიანი არჩევნები“ კვლავაც განაგრძობს წინასაარჩევნო პროცედურების მონიტორინგს და თანმიმდევრულად წარმოგიდგენთ მის შედეგებს.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra